ნინო ღამბაშიძე

იუნგიანელი ანალიტიკოსი

ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სალოცავები საქართველოში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხალხური მედიცინის საკითხები კარგად არის შესწავლილი. მოცემული საკითხიც შესწავლილია, მაგრამ ნაწილობრივ, ძირითადად საქართველოს მთის მაგალითზე. საკითხი დიდია, მრავალმხრივი და მრავალ ასპექტს მოიცავს. იგი, საქართველოს დანარჩენი კუთხეების მონაცემებზე დაყრდნობით, ელის სამომავლო კვლევების გაფართოებას ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის თუ ფსიქოეთნოლოგიის კუთხით.

დღეს ძირითადად შევეხები მხოლოდ სამ სალოცავს, სადაც ფსიქიკური პრობლემების მქონე ავადმყოფები მიყავდათ და დღესაც მიყავთ. ამ სალოცავებიდან ორის შესახებ (გერის წმ. გიორგი და ილორის წმ. გიორგი) ვისაუბრებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხოლო მესამეზე - გული გაბრიელზე-საარქივო მასალასთან ერთად, ჩემ მიერ ველზე მოპოვებულ ინფორმაციას, საკუთარ მოსაზრებებსა და კვლევასაც მოგახსენებთ. პირველი ორი სალოცავი დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიაზეა-გერი ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“, ხოლო ილორი - აფხაზეთში. გული გაბრიელი მდებარეობს სვანეთში. თუმცა, ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთის სალოცავებზე, ანუ როგორ ხდებოდა ამ წმინდა ადგილებში ფსიქოპათოლოგიებთან თუ პათოფსიქოლოგიებთან გამკლავება. ქართულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ამგვარ პრობლემებს ფსიქო-ნერვულ დაავადებებს უწოდებენ, ხოლო დამიზეზებულს, რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, ისტერიულ ფსიქოზით დაავადებულ პიროვნებად მოიხსენიებენ (მინდაძე, 1981, გვ. 104).

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ხალხი არჩევდა ორი სახის ფსიქოპათოლოგიას თუ დარღვევას: ღვთაებისგან რჩეულს და ეშმაკისგან შეპყრობილს თუ ეშმაკის მიზეზით დაავადებულს.

თუ ღვთაება, სალოცავი, ხატი ხელს დაადებდა რომელიმე პიროვნებას, მას პერიოდულად ეცვლებოდა ხასიათი, იტკიებდა თავს, გულს, ტიროდა, გული მისდიოდა, მადა ეკარგებოდა. მოცემული პიროვნება ხან კარგად იყო და ხან ცუდად ხდებოდა. ამგვარ სიმპტომებს ხალხიც და ქადაგებიც ხატისგან დამიზეზებულად, ხატის რჩეულად მიიჩნევდნენ. მათი რწმენით ამგვარი მდგომარეობა დანაშაულის გამო არ იყო გამოწვეული (გვ. 101). ანუ ღვთაების რჩეულს ეს სიმპტომები მისი რჩეულობის გამო ემართებოდა, ხოლო ბოროტი ძალით შეპყრობილს, ცოდვების გამო. ვფიქრობ საგულისხმოა, რომ რჩეულობასთან დაკავშირებული სიმპტომები ძირითდად მომწიფების, 15-16 წლის ასაკში იჩენდა თავს, როდესაც ის თემის, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. ვფიქრობ ეს ინიციაციის ქართულ ტრადიციასთან უნდა იყოს კავშირში. ზოგადად ჩვენში ცოდნა ინიციაციის ქართული რიტუალის შესახებ, მეტ-ნაკლებად მასზე სრული წარმოდგენა, დაკარგულია და ამ მიმართულებით მხოლოდ მოსაზრებები და ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ.

დამიზეზება ანუ სალოცავის მიერ მსახურის შერჩევა ხდებოდა მაშინ, როდესაც ღვთაება მეთემეს ქადაგად, ხევისბრად (თავხევისბრად), მედროშედ, მეთასგანძედ და იშვიათად დასტურად ირჩევდა (გვ. 101).

თუ ქალი შეშინებული იყო, მას იმ ხატში წაიყვანდნენ, რომლის ფუნქცია დევ-კერპებთან ბრძოლა იყო. აქვე მიყავდათ *დახელთული* ქალები, ანუ ისეთი პირები, რომლებსაც ჰქონდა ეპილეფსია, ბნედა, ფსიქიკური აშლილობის მძიმე ფორმა. მთიელთათვის *დახელთული* მძიმე ფსიქიკური დაავადების, სიგიჟის მქონე პირს ნიშნავდა. ამგვარი ავადმყოფი სრულიად იცვლებოდა, პერიოდულად კარგავდა გონებას, საქონელს, ზოგჯერ ადამიანებსაც უმიზეზოდ ერჩოდა, წყალში ლამობდა გადავარდნას, ხან კი მშვიდდებოდა და წყნარად იქცეოდა. ასეთი პიროვნება

„ეშმაკდაპატრონებულად“ ითვლებოდა. ხალხის რწმენით ამგვარ ავადმყოფებს ძლიერი ბოროტი სული, ეშმაკი ჰყავდათ დაპატრონებული. მათ *დაკოჭვის* რიტუალს უტარებდნენ. ასევე *კოჭავდნენ* ხოლმე ბნედიანებს, ავადმყოფებს, რომლებსაც პერიოდულად მისდიოდათ გული, და ცალკეულ შემთხვევაში შეშინებულებს. ამგვარი პაციენტები მიყავდათ, მაგ., დიდგორის ვეშაგ (ყარაული, მზვერავი, მეთვალყურე) წმ. გიორგიში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმ. გიორგი საყოველთაოდ არის ცნობილი, როგორც ფსიქიკური დაავადებების მკურნალიც. ოჯახი ხატში ორ საკლავს, რიტუალურ პურებს, სურსათს წაიღებდა. საკლავები იქვე იკვლებოდა. ხუცესი ავადმყოფისთვის ილოცებდა და წმ. გიორგისგან პაციენტის შველას ითხოვდა. დახელთულ ქალს ჩაუცმელ, ახალ ტანსაცმელს ჩააცმევდნენ, იყიდიდნენ ხელსახოცს, *სამკადრეოს.* ხატში ავადმყოფს *დასაკოჭ* ადგილას დააჩოქებდნენ. მედროშე დროშას გამოაბრძანებდა, ქალს სუფთა ხელსახოცს, სამკადრეოს, გადააფარებდა თავზე, ზედ დროშას დააღირებდა და დროშის ზარს აწკარუნებდა (გვ. 105). სამკადრეო იყო ნაჭერი, რომელსაც ხევისბერ-დეკანოზები იყენებდნენ მსახურების დროს. ითვლებოდა, რომ სამკადრეოზე ღვთისშვილი, ღვთაება ჯდებოდა. დროშა კი ხატის/სალოცავის სიმბოლოდ, მის საბრძანებლად მიიჩნეოდა. ხუცესი იხუცებდა და ავადმყოფისთვის ლოცულობდა. მედროშე ავადმყოფს სამჯერ შემოატარებდა თავზე დროშის ბოლოს-კოჭს, თავზე დაადებდა ანუ „დაჰკრავდა“. ამის შემდეგ დაკოჭილი მუხლის ჩოქით, უკანასვლით, მივიდოდა იქ, სადაც ქალების ადგილი იყო ჯვარში. *დაკოჭილს* ერთი წლის განმავლობაში წმინდად უნდა ეცხოვრა(გვ. 105).

მამაკაცის *დაკოჭვა* არ შეიძლებოდა. როდესაც ის *იხელთებოდა,*[1] მთელი ოჯახი და ახლობლები მიდიოდნენ ხატში. ოჯახი სალოცავებს სწირავდა საკლავს, ვერცხლს, უხვ შესაწირს. ხატში მისული ოჯახი, ახლობლები, სოფელი ღვთისმსახურებთან ერთად ლოცულობდნენ. როდესაც ხუცესი საკლავს დაკლავდა, ქალები იჩოქებდნენ, იხდიდნენ მანდილებს, თავიანთ წინ მიწაზე დააწყობდნენ და ჯვარს მანდილით

[1] როგორც ჩანს, ეს ტერმინი გულისხმობს, რომ ეშმაკმა ადამიანი მოიხელთა, დაეპატრონა-ნ.ღ.

ეხვეწებოდნენ. თუ ავადმყოფს ამ წესების შესრულება არ უშველიდა, მას ჯვარში ხელოსნადაც კი გაიყვანდნენო (გვ. 108), ანუ ხატის სამსახურში, ხატის მსახურად დააყენებდნენ.

ვფიქრობ, ამ რიტუალში მანდილი საკადრისთანაც უნდა ავლენდეს გარკვეულ კავშირს, მაგრამ ხალხის განმარტებით „დიაცის მანდილი უფრო არცხვენს ხალხს და ღვთისშვილთ.“ აქ მახსენდება აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ცნობილი ერთი წესი, მოშუღლარი მამაკაცების მანდილით გაშველება. ვინაიდან *მოხელთილის* წესების შესრულებისას ბრძოლა შეპყრობილის სულისთვის ბოროტ და კეთილ ძალებს შორის, ხალხსა და ავსულებს შორის იმართებოდა, ვფიქრობ, რიტულაში მონაწილე ქალების მიერ მანდილების მოხსნას სწორედ ამ დაპირისპირების შეწყვეტის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა.

გერისთობა 27 აგვისტოს იმართებოდა და სამი კვირის განმავლობაში აღინიშნებოდა. პირველ გერისთობას თავგერისთობა ეწოდება, მეორეს-დიდი ან შუა გერისთობა და მესამეს-ბოლო გერისთობა. ხალხის მხრიდან გერის წმ. გიორგი დიდად სათაყვანებელი სალოცავი იყო. აქ დიდძალი ხალხი იყრიდა თავს და მისდამი დიდი სასოება იყო ხალხში. ამ სალოცავს ასეთივე პიეტეტით ლოცულობდნენ ოსებიც.

მის მშენებლობაზე ამგვარი გადმოცემაა შემონახული: ქართლის მეფე ფარსმანს ცოლად აფხაზეთის მთავრის ქალიშვილი ხვარამზე შეურთავს, რომელსაც ვაჟიშვილი, სახელად ვარამადსადი მოჰყოლია. დედოფალს მზითევში წმ. გიორგის წმინდა ნაწილიანი ხატი მოყოლია. მეფე უშვილო ყოფილა და ხატი გერისთვის უჩუქებია. როდესაც ქვეყანას სპარსელები შემოსევიან მეფეს ვარამადსადი და ხატი გაუხიზნავს მთაში, აქ ეკლესია აუგია და შიგ ხატი დაუბრძანებია. ხალხსაც ამიტომ დაურქმევია სალოცავისთვის გერი.

მეორე გადმოცემის მიხედვით წმ. გიორგი რომ უწამებიათ, მისი დანაწევრებული სხეულის მკლავი და თავი გერში დაუმარხავთ, რის გამოც ეკლესიას თავგერი ჰქვიაო.

მლოცველი *გერში* ღამისთევით მიდიოდა. ვისაც შეთქმული ანუ პირობა ჰქონდა მიცემული ეკლესიას ჩოქვით, ცეკვა-თამაშით ან კისერზე დადებული ე.წ. „დადიანურით“ (დიდი ჯაჭვი) სამჯერ შემოუვლიდა. სალოცავს მისული მლოცველი სწირავდა: სანთლისგან დამზადებულ, თეთრებში გამოწყობილ ადამიანის გამოსახულებას, ბეჭდებს, საყურეებს, სამაჯურებს, მიჰყავდათ დიდძალი საკლავი. თეთრ ტანსაცმელში ჩაცმული „მხვეწარნი“(ანუ მლოცველები, რომლებიც ხატს რაიმეს განსაკუთრებულს შესთხოვდნენ) საღამოს, ანთებული სანთლებით, ლოცულობდნენ, ხატის მონები ქადაგობდნენ. ისინი რომელიმე სალოცავისთვის იყვნენ შეწირულები და ერთგვარად წინასწარმეტყველებდნენ. ხალხის რწმენით მათ სალოცავი, ღვთაება ალაპარაკებდათ. მესამე კვირას, ბოლო გერისთობას მლოცველები სოფელ არბოს სალოცავში (გორის რაიონი) მიდიოდნენ, სდაც იგივე წესები სრულდებოდა.

არბო გერის წმ. გიორგის ბარის საბრძანებლად მიიჩნევა. ვახუშტი ბატონიშვილის ვარაუდით არბოს ეკლესია აგებული უნდა იყოს აბო თბილელის სახელზე, რომლის წმინდა ნაწილიც აქ ჩაუყოლებიათ.

იმის გარდა, რომ გერის წმ. გიორგის ოჯახთან ერთად საქონლის მფარველობას, მგლისგან მის დაცვას შესთხოვდნენ, ამ სალოცავს განსაკუთრებული ფუნქციაც ჰქონდა. აქ მიჰყავდათ ფსიქოპათოლოგიის მქონე ავადმყოფები, ეპილეფსიანები, მუტიზმის მქონენი და სხვ. თუ ავადმყოფს საორბისის წმ. გიორგი ვერ უშველიდა, იგი თავგერში მიჰყავდათ. ხალხის რწმენით ამგვარი ავადმყოფები ეშმაკებით იყვნენ შეპყრობილები. მათ კლდეზე თავდაღმა გადაკიდებდნენ. მნათე მათ მუხლებზე ხელს მოკიდებდა და ეუნბნებოდა: „სთქვი შენი ეშმაკის ცოლის სახელი!“ ხალხისვე თქმით, ეშმაკის შიშით ავადმყოფი არ პასუხობდა. მაშინ ავადმყოფში ჩასახლებულ ეშმაკს თოფებითა და ხმლებით აშინებდნენ, რომ შეშინებულს მისი ცოლის სახელი ეთქვა. ხალხის რწმენით, ამ დროს, ეშმაკები ავადმყოფს ჩასჩურჩულებდნენ: არ გატყდე, სახელი არ გათქვა, ჩამოვარდნის ნუ შეგეშინდება, ჩვენ აქ ვართ, გიშველით. ბოლოს ავადმყოფს მაგრად სცემდნენ და ისიც ატირებული დაიძახებდა: სალუმხან,

ქუთუშხან, ტარუშხან და სხვ. მაგრამ მნათე მაინც არ მოეშვებოდა ავადმყოფს და ეტყოდა: სთქვი ქალკუდიანის ქმრის სახელი! ავადმყოფი დაიძახებდა: ილისხან, ზელიმხან, გელიხან და სხვ. ამის შემდეგ ავადმყოფს ამოიყვანდნენ, თოკს შეხსნიდნენ და გამოჯანმრთელებაში დარწმუნებულები სახლში უშვებდნენ (მაკალათია, 1971, გვ. 60-62). აქ, როგორც ჩანს, ჩვენ ეგზორციზის მსგავსი წესი უნდა გვქონოდა.

ილორის წმ. გიორგის სალოცავი ასევე ერთ-ერთი უდიდესი და ძლიერი სალოცავი და რელიგიური ცენტრია დასავლეთ საქართველოში. იგი მდებარეობს ოჩამჩირის მახლობლად სოფ. ილორში. აქ წმ. გიორგის 1 მეტრის რკინის მშვილდი-*შქვილი* ინახებოდა. ილორში ორივე გიორგობას, გაზაფხულის და შემოდგომის, დღესასწაულობდნენ, მაგრამ ნოემბრის გიორგობა განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნებოდა. აქ მლოცველი დას. საქართველოს მრავალი კუთხიდან იყრიდა თავს. ბევრი კოდორის ხეობიდანაც ჩამოდიოდა.

ილორის წმ. გიორგის აგებასთან დაკავშირებით არსებობს გადმოცემა. განსაკუთრებული პატივისცემით ილორში კუპრავები სარგებლობდნენ. გადმოცემის მიხედვით მშენებლობისას მისი კედლები ინგრეოდა და ტაძარს ვერ აშენებდნენ. მაშინ ეკლესიის საძირკველში და-ძმა კუპრავები ჩუტანებიათ და ტაძარიც აშენებულა. მლოცველი სალოცავს მრავალგვარ შესაწირს სწირავდა: აბრეშუმის ქსოვილებს, სანთლებს, სხვადასხვა სამკაულს, ფულს, მიჰყავდათ სამსხვერპლო ხარები, ცხვრები, ვაცები და სხვ. მიყვანილ საკლავს ილორის სალოცავის წინ *მეხატული-მნათე* ამწყალობნებდა. მნათეებს იმ გვარებიდან ირჩევდნენ, რომელთა ჯინჯი ხატი, ანუ ძირი ხატი ილორი იყო. ამ გვარებიდან მორიგეობით, ყოველწლიურად ხუთი მნათე ირჩეოდა. მათ შორის უფროსი იყო უხუცესი, დანარჩენები მას ეხმარებოდნენ. მნათეები რიგრიგობით, მთელი წლის განმავლობაში ეკლესიას არ სცილდებოდნენ და მლოცველებს ემსახურებოდნენ: იღებდნენ მათგან შესაწირს, კლავდნენ საკლავს, დამიზეზებულს რკინის მშვილდში ატარებდნენ, დამნაშავეს ხატზე გადასცემდნენ და

სხვ. მათ გასამრჯელოდ ფული ეძლეოდათ. მნათეები მთელი წლის განმავლობაში წმინდობდნენ-ცოლქმრული ურთიერთობებიდან იკავებდნენ თავს.

ილორში ფსიქიკური პრობლემების მქონე ავადმყოფებიც მიჰყავდათ, რომლებსაც ხელებს ხშირად ჯაჭვით, *ხაჯაკურით,* უკრავდნენ. ავადმყოფს ეკლესიის კარის წინ აყენებდნენ, თუ სამსხვერპლოც ჰყავდათ მიყვანილი სამჯერ გარშემო შემოუტარებდნენ, წმინდანს ავადმყოფის განკურნებას შესთხოვდნენ, შეიყვანდნენ ეკლესიაში, ილორის წმ. ხატის წინ დააჩოქებდნენ და მის შველა-განკურნებაზე ილოცებდნენ. საკლავის გარშემო შემოტარებისას ამბობდნენ: შენი მიზეზით ყოფილა ეს ავადმყოფი, შენი ძალით მიეცი დღეიდან სითავისუფლე. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ის ავადმყოფს ხატის წინ დააწვენდა და ღმეს უთევდა. ამას *ხატიში ითონჯირაფა* ერქვა. ზოგჯერ 1 კვირითაც დგებოდნენ ილორში და ღმეს ათევდნენ.

ის, ვისაც ავი თვალი ჰქონდა, მას მშვილდში გატარების შემდეგ დააჩოქებდნენ, მნათე აიღებდა საყვირს-*ოყეს*- მიუახლოვდებოდა დაჩოქილს და ამ *ოყეს* სამჯერ დააყვირებდა, რათა ეშმაკები და ავი სულები დაეფრთხო და ავადმყოფი მათგან განთავისუფლებულიყო. მშვილდში გატარებისას ამბობდნენ: ცუდი სიავე შორს გაუქარვე, დღეიდან შვება ჰქონდეს; ცუდი გული, ავი თვალი, ავი სული შორს გაუქარვეო. ეპილეფსიის შემთხვევაში ავადმყოფს *ატლეჩობას* ათამაშებდნენ. დაუკრავდნენ ტაშს და იტყოდნენ: ღმერთმა მისცეს თავის შველა, ავდგეთ ვიცეკვოთ, აწ გვექნება ჩვენ დახმარებაო. ამ დროს ავადმყოფი დახტოდა, ფეხებს გაუსვამდა და თამაშობდა, ანუ ცეკვავდა (მაკალათია, 1941, გვ. 348-351).

რამდენიმე წლის წინ, 1964 წლით დათრიღებულ ალი დავითიანის სვანურ მასალებზე მუშაობისას, რომელებიც ინახება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში, წავაწყდი მასალას გული გაბრიელის დღესასწაულის შესახებ. ამ მასალაში ჩემი ყურადღება მიიქცია იმ ცნობამ, რომ ამ სალოცავს ცუდი გუნება-განწყობის საწინააღმდეგოდ თხოვდნენ დახმარებას. გავიდა მრავალი წელი და

ჩემთვის შესაძლებელი გახდა თავად მენახა ეს სალოცავი და მცირე მასალაც მომეძიებია.

ეთნოგრაფი ევდოკია (დინა) კოჟევნიკოვა სვანეთში 1927 წლიდან 1940 წლამდე აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალას, რომელსაც დღეს განსაკუთრებული ღირებულება აქვს. მის ამ მეტად ღირებულ მასალაში, რომელიც ინტერნეტშიცაა განთავსებული, წავაწყდი მცირე ინფორმაციას „გულის სამშაბათის“ შესახებ. „ახლა, სამშაბათ დღეს, არის „გულის სამშაბათი“. სალოცავად „გულ“-ში მიდიან ის კაცები, ვისაც ევალებათ იქ ლოცვა. ზოგს იქ მიყავს ზვარაკიც.“ დადეშქელიანებს სალოცავში 2 ხარის მიყვანა ევალებოდათ, გლეხებს ცხვრის ან ხბოსი. ლოცვებს პაპები[2] აღავლენდნენ და ზვარაკს ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ ხოლმე. კოჟევნიკოვას თქმით „მიაქვთ ზედაშე და ხორბლის წმინდა ფქვილი. იქ დააცხობენ ლემზირებს, დაკლავენ ზვარაკს და შეავედრებენ შესავედრებელს. აქ ევედრებიან „გაბრელ თარგლეზერს“ ავი ზნის არიდებას და მისგან თავის და ოჯახის წევრების დაცვას. ზოგი იქ ზვარაკის გარეშე მიდის. მიაქვთ მხოლოდ ფქვილი ლემზირებისთვის სალადბაშედ და მიაქვთ ზედაშე.“ ზვარაკს იქვე ატყავებდნენ და ამზადებდნენ. ხარის ხორცს ყველაზე ანაწილებდნენ, ხოლო ცხვრის და ხბოს ხორცით ერთმანეთს უმასპინძლდებოდნენ. ხალხი ღამემდე ილხენდა, ისროდნენ მიზანში, ცეკვავდნენ. კოჟევნიკოვა აღნიშნავს, რომ ახლა, ანუ მაშინ, როდესაც ის კონკრეტულად მოცემულ მასალას აგროვედა, ამ დღეს ხალხი მინდორში იხდის დღესასწაულს, სადაც მიაქვთ არაყი, ხორცი, ლოცულობენ, ქეიფობენ, ილხენენ, აწყობენ დოღს (კოჟევნიკოვა, https://dinakozhevnikova.ge/item?id=254, f 23). ვფიქრობთ, ეს მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც ხალხი უშუალოდ სალოცავში ვერ ახერხებდა ასვლას.

ვხვდებით ამ დღეობის უფრო ვრცელ აღწერილობასაც. ალ. დავითიანის მიხედვით, სამშაბათს, სოფ. გულში (ბეჩოს თემი) მთავარანგელოზ გაბრიელის სახელზე საღვთო დღეობა იმართებოდა. ალ. დავითიანი აზუსტებს, რომ

[2] სვან პაპს კოჟევნიკოვა განმარტავს, როგორც მღვდელს, რომელიც არ არის ხელდასხმული.

მთავარანგელოზი გაბრიელი გუნება-ხასიათის ღვთაებაო. ალ. დავითიანის თქმით „სალოცავს“ ხევდახევ, სოფლებში ოჯახები ცალ-ცალკე ასრულებდნენ.

ამ დღეს სოფელი ერთ ადგილას, კარგი ამინდის შემთხვევაში სალოცავში, იფნების ქვეშ მიდიოდა. თუ ცუდი ამინდი იყო, მლოცველები სამლოცველო შენობაში იკრიბებოდნენ. რიგის მიხედვით, ვისაც ეს რიგი ერგებოდა, ის ოჯახი ერთ ქვაბ არაყს, დაახლოებით 14-15 ლიტრს, გამოხდიდა და სოფელს უმასპინძლდებოდა. მლოცველს სალოცავში სარიტუალო პურები მიჰქონდა. მთავარანგელოზის მიმართ ამგვარად ლოცულობდნენ: „გაბრიელ მთავარანგელოზო, კარგი სიამოვნების გუნება და ზნე დაგვიმკვიდრე თქო, როგორც ერთმანეთში სოფელს, ისე სოფელს გარეთ-თქო.“ აქ ცხოველური მსხვერპლიც იწირებოდა. შემწირველი საყდრის მეკლიტური, დვიდვლიანების უხუცესი - ბიმბოლათი იყო. როგორც დავითიანის მასალიდან ჩანს შესაწირი, კერძოდ ვერძი, უფრო ავი ზნის შემთხვევაში იწირებოდა. დავითიანის რესპონდენტისთვის, რომლის ვაჟსაც ეს დაავადება ჰქონია, შემწირველს შემოუთვლია: საყდრის კარი ისე ადვილად გაიღო, რომ ავადმყოფი კარგად გახდებაო. მართლაც, ამის შემდეგ შეტევა თითქმის აღარ მოსვლია და მორჩაო. „გულა სამშაბათი“ საკმაოდ ძლიერ სალოცავად მიაჩნდათ და მის დღეობაზე კვირადღესავით უქმეს იცავდნენ (დავითიანი, 1964, 16/1, 16/9, გვ. 28-29).

ნინო წერედიანის წიგნში „სვანურ-ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი“ ვკითხულობთ, რომ „გულა გაბრელის“ პირველი სალოცავი აღდგომიდან მეორე სამშაბათს იმართებოდა, ანუ აღდგომიდან მე-9 დღეს, ხოლო მის სწორზე მეორე სალოცავი „გულა გაბრელის“ დღე იყო. მეორე სალოცავ დღეზე კეთილი მგზავრობისთვის, გზაზე საფრთხის ასაცილებლად ლოცულობდნენ (წერედიანი, 2004, გვ. 405-406, 445).

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მათი შეჯერების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ გულის სამშაბათი მოძრავი დღესასწაული იყო, რომელიც ბეჩოს თემის სოფ. გულში (საიდანაც დღეობამ მიიღო დასახელება) აღდგომიდან მეორე სამშაბათს ანუ აღდგომიდან მე-9 დღეს იმართებოდა, ხოლო სალოცავი

მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობის იყო. სალოცავს სწორიც ჰქონია. პირველი „გულა გაბრელი“/“გაბრელ თარგლეზელი“ კარგი გუნება-განწყობის მიმნიჭებელი სალოცავი იყო. ხალხი მას სოფელში და მის გარეთ კარგი გუნების და ზნის დამკვიდრებას შესთხოვდა. რომელ ოჯახსაც რიგი მოუვიდოდა, ის ხდიდა არაყს და სალოცავში მიჰქონდა, მლოცველი კი თავ-თავიანთ რიტუალურ პურებს სწირავდა. თუ ვინმეს ავი ზნე აწუხებდა, ის ვერძსაც სწირავდა. შემწირველი დვიდვლიანების გვარის უხუცესი იყო, რომელსაც საყდრის კლიტე ებარა.[3] სწორზე გამართულ „გულა გაბრელს“ უსაფრთხო მგზავრობას შესთხოვდნენ, რაც ბუნებრივია, ვინაიდან მთავარანგელოზი გაბრიელი მგზავრის მფარველად ითვლება.

სვანეთში ჩემს მივლინებაში შეგროვილი მასალების მიხედვით ზემოთ ხსენებულს შეგვიძლია ისიც დავამატოთ, რომ არსებობდა ზემო და ქვემო გული. ზემო გულში ცხოვრეობდნენ გოშუანები და ქვემო გულში კვიციანები. როგორც გულის მთავარანგელოზ გაბრიელის ეკლესიის დღევანდელმა მცველმა და დღესასწაულის გამძღოლმა ჯემალ გოშუანმა გვიამბო, ისინი, ვინც უფრო გულიანი, მამაცი ხალხი იყო, არ ემორჩილებოდა დადეშქელიანებს და გამორბოდა; მათ სოფელ გულში იფარებდნენ. მისგან შევიტყვეთ, რომ სოფლის სახელს ხალხური გადმოცემა თამარ მეფეს უკავშირებს. ერთხელ, სვანეთში ყოფნისას, მეფეს ზემოდან გადმოუხედავს და ამ სოფელზე უთქვამს: როგორ გულივითააო ანუ გულს ჰგავსო. სალოცავის დაარსება კი დინა კოჟევნიკოვას 1935 წლის მასალების მიხედვით ამგვარ გადმოცემასთანაა დაკავშირებული: „გულის გაბრიელი და მიქაელ მთავარანგელოზი ძმები ყოფილან. ერთხელ მლოცველს მისთვის ცხვარი შეუწირავს. „გულის გაბრიელს“ დაუმალავს ძმისთვის ცხვრის თავი და საკუთრად დაუტოვებია. მიქაელ მთავარანგელოზი მიუხვდა ძმას და შეუძახა: ჰე გაბრელ! შენ იყავი აწი ყველა არეული ტვინის დამლაგებელი და შენი სახელი ერქვას იმ ცუდ ზნეს, რაც ადამიანს ტვინს აურევსო“.

[3] ალ. დავითიანი არ აზუსტებს ეს წესი ამ გვარიდან არჩეულ უხუცესს უნდა შეესრულებინა, თუ 1960-იან წლებში იყო დვიდვლიანი შემწირველი.

ჯემალ გოშუანის თქმით გულში დღესასწაული სამჯერ იმართება: აღდგომის მომდევნო სამშაბათს და მის ორ სწორზე. ის ავადმყოფები, რომლებიც სამჯერ ანუ სამი წლის განმავლობაში მოდიან დღესასწაულზე, იკურნებიან. მეოთხე წელს უკვე მადლობის აღსავლენად მოდიანო. სვანეთის სხვადასხვა კუთხეში ამ სალოცავს დიდი სახელი აქვს და მას დიდი სასოებით მოიხსენიებენ. ხალხში ასევე არსებობს რწმენა, რომ იქ მისული ავდმყოფი აუცილებლად გამოჯანმრთელდება. ჩვენი მთხრობლისა და მისი დედის, 86 წლის ფოჩი კვანჭიან-გოშუანის თქმით, განურჩევლად ასაკისა, აქ მოყავდათ და მოყავთ ეპილეფსიით დაავადებული ავადმყოფები. აქ მოყვანილ ავადმყოფთაგან ზოგიერთი ვერ ლაპარაკობს, აქნევს თავს, ტირის და ვერ აწყნარებენ, ვერ დადის, ვერ მოძრაობს, გამოთიშული, გაშეშებულია, ზოგი არც არის გონებაზე (იგულისხმება ფსიქიკური მდგომარეობა-ნ.ღ.). ზოგი კი, ისეთი ავადმყოფია არც ემჩნევა, მხოლოდ ოჯახის წევრებმა იციანო, გვიამბო ჯონდო გოშუანმა. მადონა ჩამგელიანის 2012 წელს ჩაწერილი მასალის მიხედვით ლატალის სოფელ იფხის მცხოვრები, 85 წლის დივო გვიჩიანი აღნიშნავს, რომ: „აქ, ძირითადად, ვისაც „მაითა მაზიგ“ (თავის ტკივილი და სულიერი აშლილობა) აწუხებს, ისინი მოდიან. დიდება მის სახელს. გულში ზემოთ ორი კილომეტრი უნდა იარო, ძალიან აღმართი და ცუდი გზაა. ჩემი ძმა გვყავდა შარშან, თენგიზს ჰქონდა პრობლემები. სანამ ახვალ, არყის ხის ტოტებისგან საბელი უნდა გააკეთო და ყელზე შეაბა ავადმყოფს, მერე ამ საბელს ხელს მოჰკიდებს მისი ჭირისუფალი და ასე აიყვანს ზემოთ. ეს საბელი ეკლესიის შესასვლელში „ლადბაშში“ (სამკვეთლო) უნდა მოხსნას და დატოვოს. თუ ავადმყოფი არ აირია, მაშინ არაა საშველი და ხელახლა უნდა ამოიყვანო. თუ აირია და დუჟი მოერია ან რამე სიგიჟე გამოავლინა, მაშინ, დიდება გულის გაბრიელს, ნაშველებია და უნდა შესწირო საკლავი. მისი დატოვებული საბელით შეწვავენ გულ-ღვიძლს და ასე ეშველება. იმ დღეს უამრავი საკლავი იკვლება, სავსეა იქაურობა და უკან არაფერი მოაქვთ. მე არ მინახავს შიგნით, კარგი მოხატულიაო, მაგრამ ქალებს არ უშვებენ. თენგიზს ამის მერე არაფერი აწუხებს. დიდება გულის გაბრიელს.“(დექრისტოფორო, ჩამგელიანი, 2022)

გულის წმ. გაბრიელის ეკლესია მცირე ზომისაა და იქ შესვლა, როგორც მთხრობელმაც აღნიშნა, ქალებს ეკრძალებათ. გადმოცემის მიხედვით, ახალგაზრდა ქალი შესულა და მთხრობლის თქმით, სალოცავს სულ თავდაყირა დაუყენებია. ქალები გარშემო უვლიდნენ გულის გაბრიელს და ისე დადიოდნენო. სალოცავში დიდძალ მლოცველს რიტუალის შესასრულებლად და სამხვეწროდ დღემდე მიაქვს შესაწირი პურები, ზოგს ცხვარი და საკვები ფინალური პურობისთვის. სალოცავს ფულსაც სწირავენ ხოლმე.

როგორც მასალებიდან ჩანს, გულაშ გაბრელის მთავარი დღესასწაული აღდგომის მეორე და მესამე სამშაბათი უნდა იყოს, ხოლო აღდგომის მომდევნო სამშაბათი ახალ თარიღს ჰგავს. საერთოდ, ჩემი დაკვირვებით, ორი მსგებსით დღესასწაული დიდ და ძლიერ სალოცავებს ახასიათებთ. ამავე დროს, ეს დღესასწაული უქმით იდღესასწაულება. მართლმადიდებელი ეკლესია აღდგომიდან მეცხრე დღეს ანუ თომას კვირის სამშაბათს საფლავების კურთხევის დღედ მოიხსენიებს.

გაბრიელი ებრაულად ნიშნავს ძალი ღვთისას. იგი ერთ-ერთი უპირატესი მთავარანგელოზია მიქაელთან ერთად. არის ღვთის საიდუმლოთა მსახური. ამ საიდუმლოთა განმმარტებელად მოიხსენიება მახარებელი გაბრიელი და ასეთად ითვლება ხალხურ ტრადიციაშიც. მასთანაა დაკავშირებული მაცხოვრის და იოანე ნათლისმცემლის შობის ხარება, უწყება (О. Н. Афиногенова, О. В. Лосева, 2005, С. 187-191; Иванов, 2001, Т.3, С. 473; Соколов, 1903); ასევე ხიფათის არიდება და მგზავრობისას მფარველობა. მართლმადიდებლები მას შესთხოვენ დახმარებას რთულ ვითარებაში გადაწყვეტილების მიღებისას, შესთხოვენ გამოსავლის ჩვენებას, შვილიერებას, გზააბნეული სულის ჭეშმარიტ გზაზე დაყენებას, შველას დეპრესიისა და მელანქოლიის დროს (Алтайская правда, 2019).

გულის სალოცავიც სწორედ მელანქოლიურ-დეპრესიული გუნება-განწყობისა და ეპილეფსიის, ხალხურად ავი ზნის, მშველელად მიაჩნდათ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მთავარანგელოზი გაბრიელი, რომლის ხსენებული სალოცავიც იყო სოფ. გულში. თუ რატომ მთავარანგელოზი გაბრიელი, ეს ჩემი აზრით, გასაკვირი არაა,

ვინაიდან დეპრესია უარყოფით აზრებსა და აქტივობის დაქვეითებასთან ერთად, იმედის, სასიცოცხლო ენერგიის, სიხარულის ნაკლებობით ხასიათდება, რისი მიმნიჭებელიცაა ხსენებული მთვარანგელოზი.

როგორც მასალიდანაც გამოჩნდა, ხსენებულ სალოცავს დეპრესიული გუნება-განწყობის გარდა ეპილეფსიის შემთხვევაშიც მიმართავდა ხალხი. თუმცა ახალი მასალის მიხედვით სიმპტომების სპექტრი გაზრდილი ჩანს, რაც ჩემი აზრით, ფსიქოპათოლოგიების მატებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. საგულისხმოა, რომ ეპილეფსიის ერთ-ერთი სახეობა, საფეთქლის წილების ეპილეფსია, აღმოცენდება ტვინის საფეთქლის წილებში, რომლებიც განაგებს ემოციას და მოკლევადიან მეხსიერებას. შესაბამისად, ავადმყოფს შესაძლოა განუვითარდეს უცნაური შეგრძნებები, მაგ., ეიფორია, დეჟავუ, შიში (საფეთქლის წილის ეპილეფსია). ამას გარდა, საფეთქლის წილების ეპილეფსიას ახასიათებს დეპრესია (Harden, 2002; Harden and Goldstein, 2002; Kanner, 2006a,b; Blumer et al., 1995; Altshuler et al., 1999; Yamamoto et al., 2002; Kanner, 2006a), რომელიც პაციენტების 30% (Hermann et al., 2000), 50% (Kanner, 2003; Boylan et al., 2004) აქვს, ზოგიერთი გამოკვლევით კი 40%-60% (Grabowska-Grzyb et al., 2006). ამგვარი პაციენტების ცხოვრების ხარისხს დეპრესია უფრო აუარესებს, ვიდრე ეპილეფსიის საწინააღმდეგო მედიკამენტების რაოდენობა თუ გულყრების სიხშირე (Gilliam et al., 2003; Boylan et al., 2004; Pulsipher et al., 2006). ამის გამო, ეპილეფსიით დაავადებულთა შორის ზოგადად, განსაკუთრებით კი საფეთქლის წილების ეპილეფსიისას, იზრდება სუიციდის რაოდენობა ან ძლიერდება ფიქრები სუიციდზე (Baker, 2006; Pompili et al., 2006). საფეთქლის წილების ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები განიცდიან უსასოობას, დეპრესიულ განწყობას, არიან აგრესიულები, აქვთ შფოთი, უქვეითდებათ მეხსიერება და შესაძლოა ფსიქოზიც განვითარდეს (Kanner and Balabanov, 2002; Blumer et al., 2004; Blumer et al., 2004). ზოგიერთი კვლევის მიხედვით, საფეთქლის წილების ეპილეფსიურმა შეტევებმა შეიძლება პიროვნების შეუქცევადი ცვლილება გამოიწვიოს (ჰიპერრელიგიურობა, ჰიპერგრაფია, ჰიპერსექსუალობა) (Wuerfel et al. 2004). ჩატარებული კვლევების

საფუძველზე მიიჩნევა, რომ არა მარტო ეპილეფსია იწვევს დეპრესიას, არამედ, დეპრესიასაც შეუძლია ეპილეფსიის გამოწვევა. (Yamamoto et al. 2002; Kanner 2006a,b; Spencer 2007; Forsgren and Nystrom, 1999; Hesdorffer et al., 2006). არსებობს მოსაზრება, რომ საფეთქლის წილების ეპილეფსიას, დეპრესიას და შესაძლოა სხვა ნეიროფსიქიატრიულ დარღვევებს, როგორიცაა მაგალითად, შფოთი, ერთი პათოგენური მექანიზმები ჰქონდეს. სავარაუდოდ ეს მექანიზმები ისეა ურთიერთგადაჯაჭვული, რომ ერთი დაავადების ფარგლებში მომხდარმა სტრუქტურულმა და ფუნქციონალურმა ცვლილებებმა შეიძლება მეორე დაავადება გამოიწვიოს (Daniel Kondziella et al, 2007).

კვლევის პროცესში გაჩნდა კითხვა: რა ნიშნით იქნა არჩეული დღესასწაულისთვის მოცემული თარიღი? ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, რომელიმე ლიტურგიული კალენდარი რომელშიც აღდგომიდან მეცხრე დღე ანუ აღდგომის მეორე სამშაბათი მთავარანგელოზს ეძღვნებოდეს. ამ დღეს ეკლესიას განწესებული და დაწესებული აქვს საფლავების კურთხევა. ამ დღეს არ არის მართლმადიდებელი ეკლესიის განგების მიხედვით განსაზღვრული რაიმე განსაკუთრებული მსახურება. საინტერესოა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიცია მიცვალებულებთან ამ დღის კავშირს ხსნის ამგვარად: თომას კვირის ორშაბათს ან სამშაბათს მიცვალებულთა მოხსენიება უკავშირდება მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლას, რომელიც იმავდროულად თომას კვირასთან ერთიანდება და მეორე მხრივ, საეკლესიო განგება თომას კვირის ორშაბათიდან ნებას რთავს მორწმუნეებს ჩვეულებისამებრ მოიხსენიონ მიცვალებულები. ამდენად, მორწმუნეები რუსეთში საფლავებზე მიდიოდნენ, რათა თავიანთი მიცვალებულებისთვის ეხარებინათ ქრისტეს აღდგომა. ამის გამო, ამ დღეს რუსეთში რადონიცას (радоница) ეძახიან (Булгаков,1912, с. 652-653), რაც ხსენებულ ტერმინს სიხარულთან, ხარებასთან აკავშირებს.

ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის კორნელი კეკელიძე იერუსალიმურ კანონარში. იგი აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში

სულთმოფენობის პერიოდში ისეთი დღესასწაულები აღინიშნება, რომლებსაც თვენი არ იცნობს. მაგ., აღდგომის შვიდეულში, ხუთშაბათს და შაბათს აღინიშნება დღესასწაული მთვარანგელოზების სახელზე (სოფლებში: ოფეთი და ფარცხანაყანები), თომას კვირის შაბათს სოფ. ჯიხაიშში ქაშვეთობა, აღდგომიდან მესამე ორშაბათს სოფ. ივანდიდში ქვანთახობა (Кекелидзе, 1912, с. 233). ხომ არ არის გულის სამშაბათიც ამგვარი ტიპის დღესასწაული? კვლევის ამ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ იგი თვენის მიღმა, ადგილობრივ სივრცეში წრმოშობილი ხალხური ქრისტიანული დღესასწაული უნდა იყოს და შესაძლოა რუსული ხალხური კალენდრის გავლენით დაარსებულ, დამკვიდრებული. აშკარაა, რომ მისი დაარსება რეგიონისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მოსახლეობას წმ. გაბრიელი მშველელად მოევლინა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გულის სამშაბათი /გულის გაბრიელი სვანეთში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სალოცავი იყო და არის, რომელიც თავდაპირველად გუნება-განწყობის ანუ დეპრესიის და ავი ზნის ანუ ეპილეფსიის მშველელად ითვლებოდა. როგორც ცნობილია, საფეთქლის წილების ეპილეფსია უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანის გუნება-განწყობაზე (Fuller-Thomson and Sarah Brennenstuhl, 2009) და როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა თავად დეპრესიამ გამოიწვიოს ეპილეფსია, ამდენად, მოცემულ კონტექსტში ორივე დაავადების კავშირი ლოგიკურია და ერთ მთლიანს ქმნის. დღეს ფსიქოპათოლოგიის სპექტრი გაფართოვდა და აქ, როგორც მცირე აღწერილობიდანაც შეიძლება ვივარაუდოთ, სხვა სახის ფსიქიკური დარღვევებითაც მოჰყავთ პაციენტები. ვფიქრობ, ეს საკითხი ცალკე სერიოზული კვლევის თემას წარმოადგენს.

ის, რომ მთავარანგელოზი გაბრიელია ამ დაავადებების მშველელი, ბუნებრივად მიმაჩნია, ვინაიდან წმ. გაბრიელს უფლისგან მინიჭებული აქვს ხარების ფუნქცია, ხოლო დაქვეითებული გუნება-განწყობისა და დეპრესიის შემთხვევებში პაციენტი სასიცოცხლო ძალების, იმედის და სიხარულის ნაკლებობას განიცდის.

წინასწარი დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დღესასწაულის თარიღი შესაძლოა თავად ხალხის მიერ იყოს შერჩეული. ამასთანავე თუ ადრე იგი

მარტო ერთ სწორზე იდღესასწაულებოდა, დღეს იგი გაფართოვდა და ორ სწორზე აღინიშნება, რაც, როგორც ითქვა, შესაძლოა გაზრდილი ფსიქოპათოლოგიების შედეგიც იყოს. ხალხში სალოცავის, როგორც მკურნალის რეპუტაცია დღემდე ძალიან დიდია და შესაბამისად მისდამი სასოებაც ძლიერია. აღსანიშნავია, რომ ეს ძველი დღესასწაული დღესაც ცოცხალია.

საკითხთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე ისმის კიდევ ერთი შეკითხვა, ფსიქო-ნერვული დაავადებების კუთხით რა ისტორიული თუ თანამედროვე სურათი გვაქვს სვანეთში და რა შეიძლება ყოფილიყო მათი ეტიოლოგიის მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სცილდება წინამდებარი სტატიის ფარგლებს და ის სამომავლო სერიოზული კვლევის საგანს წარმოადგენს. თუმცა, ჰიპოთეზის სახით აღვნიშნავ, რომ შესაძლოა ბეჩოს თემში მდებარე გული გაბრიელის დღესასწაულის დაარსება, გარკვეული კუთხით, წარსულში სვანეთის ერთ-ერთ პრობლემას - ჰიპოთირეოზს უკავშირდებოდეს, რაც, როგორც ცნობილია, სხვა გართულებებთან ერთად უგუნებობასა და დეპრესიასაც იწვევს. საარქივო მასალების მიხედვით, ჩიყვის გავრცელების ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ბეჩოს თემი იყო, კერძოდ კი სოფ. მაზერი (ბურდული, 2010, გვ. 63-64).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდული, მედეა (2010), ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში, თბილისი: „ახალციხის უნივერსიტეტი“.
2. დავითიანი, ალი (1964), სვანეთი ეთნოგრაფიულად, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ისნტიტუტის არქივი, ა.დ., 16/1, 16/9.
3. დექრისტოფორო, მარინა, ჩამგელიანი, მადონა (2022), „დაე, თქვენს მიკროავტობუსს კარგი მგზავრები ჰყავდეს“: სვანეთის „გულაშ გაბრიელის“ დღესასწაულის ლოცვები, სიმღერები და რიტუალები. ხელნაწერი.
4. კოჟევნიკოვა, დინა. სიმონ ჯანაშიას სახ.საქართველოს მუზეუმი. ისტორიისა და ეთნოლოგიის კოლექციები. დინა კოჟევნიკოვას არქივი, f 23, https://dinakozhevnikova.ge/item?id=254.
5. მაკალათია, სერგი(1941), სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი: საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება.
6. მაკალათია, სერგი (1971), ლიახვის ხეობა, თბილისი: „საბჭოთა ხელოვნება“.
7. მინდაძე, ნინო (1981), ქართული ხალხური მედიცინა, თბილისი: „მეცნიერება“.
8. საფეთქლის წილის ეპილეფსია. http://gh.ge/ka/disease/372/, ამოღებულია 25.06.22.
9. წერედიანი, ნინო (2004), სვანურ-ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, თბილისი: „ქართული ენა“.
10. Алтайская правда(26 июля 2019). Как и почему Архангел Гавриил помогает бороться с депрессией. https://www.ap22.ru/paper/Kak-i-pochemu-Arhangel-Gavriil-pomogaet-borot-sya-s-depressiey.html, ამოღებულია 25.06.22.
11. Афиногенова, О. Н., Лосева, О. В. (2005). ГАВРИИЛ. Православная энциклопедия, Т. 10. С. 187-191. https://www.pravenc.ru/text/161233.html;
12. Булгаков, С.В. (1993), Настольная книга священно-церковно –служителей, Москва: Издательский отдел Московского Патриархата, т. 1, сс.652-653.
13. Иванов, М. С.(2005). АРХАНГЕЛ. Т. 3, С. 473. https://www.pravenc.ru/text/%D0%90%D1%80%D1%85%D0%B0%D0%BD%D0%B3%D0%B5%D0%BB.html
14. Кекелидзе, Корнели (1912), Иерусалимский канонар, VII века (Грузинская версия), Тифлис: Скоропечать С.М. Лосаберидзе, с. 233.

15. Соколов, И. И. *ГАВРИИЛ* (1903). Православная Богословская Энциклопедия. Том 4, стлб. 4. http://www.biblioteka3.ru/biblioteka/pravoslavnaja-bogoslovskaja-jenciklopedija/tom-4/gavriil.html, ამოღებულია 25.06.22.
16. Altshuler, L., Rausch, R., Delrahim, S., Kay J. and Crandall, P. (1999). Temporal Lobe Epilepsy, Temporal Lobectomy, and Major Depression. J. Neuropsychiatry Clin. Neurosci. 11, 436–443.
17. Baker, G. A. (2006). Depression and Suicide in Adolescents with Epilepsy. Neurology 66, S5–S12.
18. Blumer, D., Montouris G. and Hermann B. (1995). Psychiatric Morbidity in Seizure Patients on a Neurodiagnostic Monitoring Unit. J. Neuropsych. Clin. Neurosci. 7, 445–456.
19. Blumer, D., Montouris, G. and Davies, K. (2004). The Interictal Dysphoric Disorder: Recognition, Pathogenesis, and Treatment of the Major Psychiatric Disorder of Epilepsy. Epilepsy Behav. 5, 826–840.
20. Boylan, L. S., Flint, L. A., Labovitz, D. L., Jackson, S. C., Starner, K. and Devinsky, O. (2004). Depression but not Seizure Frequency Predicts Quality of Life in Treatment Resistant Epilepsy. Neurology 62, 258–261.
21. Forsgren, L. and Nystrom, L. (1999). An Incident Case Referent Study of Epileptic Seizures in Adults. Epilepsy Res. 6, 66–8.
22. Gilliam, F., Hecimovic, H., and Sheline, Y. (2003). Psychiatric Comorbidity, Health, and Function in Epilepsy. Epilepsy Behav. 4, S26–S30.
23. Grabowska-Grzyb[a], Ałbena, Jędrzejczak[a], Joanna, Nagańska[ab], Fiszer[a], Ewa, March, Urszula (2006, Volume 8, Issue 2). Risk Factors for Depression in Patients with Epilepsy. Epilepsy & Behavior, 411-417, https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S1525505005005366.
24. Harden, C.L. (2002).The Comorbitity of Depression and Epilepsy, Neurogy, 59, S45-S55.
25. Harden C. L. and Goldstein M. A. (2002). Mood Disorders in Patients with Epilepsy: Epidemiology and Treatment. CNS Grugs 16, 291-302.
26. Hermann B., Seidenberg M. and Bell B. (2000) Psychiatric Comorbidity in Chronic Epilepsy: Identification, Consequences, and Treatment of Major Depression. Epilepsia 41, S31–S41 in 2006b in Daniel Kondziella, Silje Alvestad, Arne Vaaler and Ursula Sonnewald (2007). Which Clinical and Experimental Data Link Temporal Lobe Epilepsy with Depression? Journal of Neurochemistry, 103, 2136–2152.
27. Hesdorffer, D. C., Hauser, W. A., Olafsson, E., Ludvigsson, P. and Kjartansson D. (2006). Depression and Suicide Attempt as Risk Factors for Incident Unprovoked Seizures. Ann. Neurol. 59, 35–41.
28. Kanner, A. M. and Balabanov, A. (2002). Depression and Epilepsy: how Closely Related are they? Neurology 58, S27–S39.
29. Kanner, A. M. (2003). Depression in Epilepsy: Prevalence, Clinical Semiology, Pathogenic Mechanisms, and Treatment. Biol. Psychiatry 54, 388–398.

30. Kanner, A. M. (2006a). Epilepcy Suisidal Behaviour, and Depression: do they Share Common Pthogenic Mechanisms? Lancet Neirol. 5, 107-108.
31. Kanner, A. M. (2006b). Depression and Epilepsy: A New Perspective on Two Closely Related Disorders. Epilepsy Curr: 6, 141-146.
32. Kondziella, Daniel, Alvestad, Silje, Vaaler, Arne, Sonnewald, Ursula (2007, December). Which Clinical and Experimental Data Link Temporal Lobe Epilepsy with Depression? Journal of Neurochemistry. Volume103, Issue 6. 2136-2152. https://doi.org/10.1111/j.1471-4159.2007.04926.x, retreated in 25.06.22. https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/j.1471-4159.2007.04926.x
33. Pompili, M., Girardi, P. and Tatarelli, R. (2006). Death from Suicide Versus Mortality from Epilepsy in the Epilepsies: a Meta-analysis. Epilepsy Behav. 4, 641–648.
34. Pulsipher, D. T., Seidenberg, M., Jones, J., and Hermann B. (2006). Quality of Life and Comorbid Medical and Psychiatric Conditions in Temporal Lobe Epilepsy. Epilepsy Behav. 3, 510–514.
35. Spencer, S. (2007). Epilepsy: clinical observations and novel mechanisms. Lancet Neurol. 6, 14–16.
36. Wuerfel, J., Krishnamoorthy, E. S., Brown, R. J., Lemieux L., Koepp M., Tebartz van Elst, L. and Trimble, M. R. (2004). Religiosity is Associated with Hippocampal but not Amygdala Volumes in Patients with Refractory Epilepsy. J. Neurol. Neurosurg. Psychiatry 75, 640–642.
37. Yamamoto S., Miyamoto T., Morita N. and Yasuda M. (2002). Depressive Disorders Preceding Temporal Lobe Epilepsy. Epilepsy Res. 49,153–156.